

კომაროვის „შაბათის სკოლის“ მიზანია: საქართველოს მასშტაბით დაინტერესებულ მოსწავლეებს დაეხმაროს მათემატიკური და ლოგიკური უნარების განვითარებაში.

მეცადინეობების ფორმატი და განრიგი:

თბილისში პროექტი განხორციელდება ორ ფორმატში, რომლიდანაც ერთ-ერთს აირჩევს მშობელი.

- ადგილზე, თბილისში მეცადინეობები ჩატარდება სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში.

I ცვლა: შაბათი: 10.00-13.00 ან/და 9.30-12.30 (შესვენება 15-20 წუთი)

II ცვლა: შაბათი: 14.00-17.00 ან/და 13.30-16.30 (შესვენება 15-20 წუთი)

III ცვლა: კვირა: 10.00-13.00 ან/და 9.30-12.30 (შესვენება 15-20 წუთი)

IV ცვლა: კვირა: 14.00-17.00 ან/და 13.30-16.30 (შესვენება 15-20 წუთი)

ინფორმატიკის მეცადინეობები ჩატარდება კვირაობით: 09.45-11.45 და 12.00-14.00

შაბათის სკოლის ფარგლებში გაიხსნება მხოლოდ ონლაინ ჯგუფებიც. ამ მომსახურების არჩევის შემთხვევაში, მეცადინეობები განხორციელდება დისტანციურად, ონლაინ ფორმატში. განრიგი იქნება იგივე. განსხვავებული არის კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო მთავრობამ გადაწყვიტა სწავლების ონლაინ ფორმატში გადატანა, შაბათის სკოლის ჯგუფები გადაერთვებიან ონლაინ რეჟიმში. ამ შემთხვევაში სკოლა ჩაატარებს დამატებით ერთ გაკვეთილს მოდულში.

- მომსახურება იყოფა სამ მოდულად: თითოეულ მოდულში ჩატარდება 12 მეცადინეობა. პირველი მოდულის დასაწყისში და სამივე მოდულის ბოლოს ჩატარდება წერები.
- იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო მთავრობამ გადაწყვიტა სწავლების ონლაინ ფორმატში გადატანა და ვერ მოხერხდა შემაჯამებელი წერის ჩატარება აუდიტორებში, შემაჯამებელი წერები ჩატარდება ონლაინ რეჟიმში მეცადინეობებს ჩაატარებენ სკოლისა და მოწვეული კვალიფიციური პედაგოგები.

ერთი მოდულის ღირებულება

მათთვის, ვინც სწავლობდა 2018-19 სასწავლო წელს - 285 ლარი, ყველა დანარჩენისთვის - 300 ლარი.

თუ და-ძმებიდან ორი ან მეტი მოსწავლე იღებს თბილისის „შაბათის სკოლის“ მომსახურებას, პირველი მოსწავლის მომსახურების ღირებულება იგივეა, რაც აღწერილია ზემოთ, ყოველ მომდევნო შვილზე ერთი მოდულის საფასური შეადგენს 160 ლარს (ამ შემთხვევაში მშობელმა უნდა მიმართოს „შაბათის სკოლის“ ადმინისტრაციას).

ინფორმატიკის ერთი მოდულის ღირებულებაა -150 ლარი.

მშობლებთან ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. სკოლა იღებს ვალდებულებას შეასრულოს პროექტით განსაზღვრული აქტივობები, მშობელი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს პროექტით განსაზღვრული თანხა. მოსწავლის სიარული მეცადინეობებზე ავტომატურად ნიშნავს მშობლის თანხმობასა და ხელშეკრულების მოქმედებაში შესვლას.

თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა:

I მოდული: მე-5 და მე-6 კლასებში - 20, მე-3 და მე-4 კლასებში - 17,

II და III მოდული: მე-5 და მე-6 კლასებში - 18, მე-3 და მე-4 კლასებში - 16.

მხოლოდ ონლაინ ჯგუფში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა - 15.

მომსახურების გადახდის პირობები:

I მოდულის საფასურის გადახდა: სარეგისტრაციო წესების შესაბამისად;

II მოდულის საფასურის გადახდა: არაუგვიანეს 2022 წლის 10 იანვრამდე;

III მოდულის საფასურის გადახდა: არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილამდე.

იმ შემთხვევაში, თუ მშობელი გადაწყვეტს პროექტის დატოვებას, ის წერს განცხადებას სკოლის დირექტორის სახელზე და მას დაუბრუნდება თანხა შემდეგი წესით: მშობლის მიერ წინასწარ გადახდილ საფასურს გამოაკლდება განცხადების დაწერის მომენტისთვის ჩატარებული გაკვეთილების შესაბამისი თანხა პროპორციულად.

თუ პროექტის დატოვება მოხდება პირველი მოდულის დაწყებამდე, თანხა დაბრუნდება შემდეგი ფორმულით: $x-20$ ლარი, სადაც x არის მშობლის მიერ გადახდილი თანხა.

სკოლა უფლებამოსილია პროექტი დაატოვებინოს მოსწავლეს სხვა მოსწავლის დაჩაგვრის, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში. სხვა დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მოსწავლის პროექტის დატოვება განისაზღვრება შესაბამისი წესით, რომელსაც ამტკიცებს კომაროვის სკოლის დირექტორი. ამ დროს მშობელს უბრუნდება თანხა შემდეგი პირობებით: მშობლის მიერ წინასწარ გადახდილ საფასურს გამოაკლდება მოსწავლის პროექტის დატოვების მომენტისთვის ჩატარებული გაკვეთილების შესაბამისი თანხა პროპორციულად.